



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



# საქართველო ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შეფასების მოდელი

მთა მურღულია

2020



საქართველო ევროკავშირს შორის  
ასოცირების შეთანხმების ფარგლებში  
ნაკისრი ვალდებულებების  
შეფასების მოდელი

შოთა მურდულია

2020



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



ეს კვლევა შეიქმნა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი  
ტელეფონი: (+995 32) 2 39 90 19  
ელექტრონული ფოსტა: [office@csrdg.ge](mailto:office@csrdg.ge)  
[www.csrdg.ge](http://www.csrdg.ge)

## სარჩევი

შესავალი .....	5
შეფასების სტრუქტურა.....	5
შეფასების დროითი პერიოდი.....	6
შეფასების სისტემის კომპონენტები .....	6
შეფასების მოდელი.....	7
ვალდებულების შესრულების შეფასების ინდიკატორები .....	10
კრიტერიუმი 1: ვალდებულების შესასრულებლად გამოყოფილი დროის შესაბამისობა ....	10
კრიტერიუმი 2: პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა.....	11
კრიტერიუმი 3: რეგულაციის მოსალოდნელი შედეგის შესწავლის ხარისხი და მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების შერბილების/აღმოფხვრის გეგმა .....	11
კრიტერიუმი 4: პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა.....	12
კრიტერიუმი 5: ვალდებულების შესრულების დადასტურება.....	13
კრიტერიუმი 6: ვალდებულების შესრულების დროულობა.....	14
კრიტერიუმი 7: ვალდებულების შესრულების სისრულე.....	14
კრიტერიუმი 8: ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი .....	15
კრიტერიუმი 9: პასუხისმგებელი უწყების საქმიანობის შეფასება.....	16
კრიტერიუმი 10: ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშების სისრულე .....	16
შეფასების განხორციელების ეტაპები .....	17
ეტაპი 1: სფეროს შერჩევა.....	17
ეტაპი 2: კონრეტული ვალდებულებების განსაზღვრა.....	18
ეტაპი 3: სფეროს შემადგენელი მიმართულებების წონების განსაზღვრა.....	18
ეტაპი 4: კონრეტული ვალდებულებების შესრულების პერიოდის განსაზღვრა .....	19
ეტაპი 5: კონრეტული ვალდებულებების წონების განსაზღვრა.....	21
ეტაპი 6: თითოეული ვალდებულების შესრულების შეფასება წინასწარგანსაზღვრული მეთოდოლოგიით .....	22



## შესავალი

ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ ნევრ სახელმწიფოებს დამეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელიც ფართო კონტექსტში ადგენს ურთიერთთანამშრომლობის სფეროებსა და საკითხებს.

ასოცირების შეთანხმების დანართებში დეტალურად არის მითითებული საქართველოს მიერ შესასრულებელი ვალდებულებები, მათ შორის ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის ნომერი და სახელწოდება, რომელიც უნდა შესრულდეს წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში. თითოეული ვალდებულების შესასრულებლად მოცემულია კონკრეტული ვადები.

საზოგადოებისთვის სწორი და არამიკერძოებული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების ობიექტური შეფასების წარმოება.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ყოველწლიური პროგრესის ანაგარიში სხვადასხვა უწყებების/ორგანიზაციების მხრიდან ქვეყნდება.

საქართველოს მთავრობა პერიოდულად ამზადებს და სახელმწიფო უწყებების ვებ-გვერდებზე ანთავსებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დოკუმენტს. აღნიშნული წარმოადგენს მთავრობის შეფასებას, რომელიც ბუნებრივია ცდილობს აჩვენოს პროგრესი, თუმცა ჩავარდნების შესახებ დეტალური ინფორმაცია და მიზეზები ნათლად არ არის წარმოჩენილი.

ბოლო წლებში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ტარდება ასოცირების შეთანხმების სფეროების მიხედვით მონიტორინგი. აღნიშნული პროცესი დადებითად აისახება ფართო საზოგადოების ინფორმირების ხარისხზე. ხელისუფლებისგან განსხვავებით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიდგომა მეტწილად არსებული ჩავარდნების აღმოჩენას და მათი მიზეზების დადგენას მოიცავს, რაც ხშირად არსებული მიღწევების შესახებ ინფორმაციას არ მოიცავს და უარყოფით კონტექსტშია დანახული ვალდებულებების შესრულების პროცესი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ შევიმუშაოთ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ვალდებულების შესრულების პროცესში არსებულ როგორც დადებით ასევე უარყოფით მხარეებს შეისწავლის და ობიექტურად შეაფასებს რეალობას.

## შეფასების სტრუქტურა

ვალდებულების შესრულების მონიტორინგი საჭიროებს სფეროების მიხედვით კვალიფიციური ექსპერტების ჩართვას. ამ პროცესში შეფასების ერთიანი მიდგომის გამოყენება აიოლებს სხვადასხვა ვალდებულების შესრულების მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარებას.

შეფასების სტანდარტიზებული მიდგომა არ გულისხმობს თემატური სპეციფიკის დეტალურ აღწერას, რაც სფეროს ექსპერტების პრეროგატივაა. არამედ ხდება შეფასების სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც ერთნაირად სასარგებლოა სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებისთვის.

მსგავსი შეფასების მოდელის შემუშავება ხშირად იწვევს სპეციალისტებს შორის კამათს, რადგან შეფასების კრიტერიუმები და წონები საბოლოო შედეგში ერთგვარად არ აღიქმება სპეციალისტების მიერ.

შესაბამისად, შემუშავებული მეთოდოლოგია წარმოადგენს სარეკომანდაციო ხასიათის მოდელს, რომლის კრიტერიუმების და წონების მცირედი ცვლილება შესაძლებელია ექსპერტთა ჯგუფების მიერ.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების ობიექტური

შეფასების სისტემის ჩამოყალიბების პირველი ამოცანაა შეფასების სტრუქტურის განსაზღვრა. აღნიშნული მოიცავს შეფასების მთავარი კომპონენტების ჩამოყალიბებას და პრინციპების განსაზღვრას.

ნაკისრი ვალდებულებების უმეტესობა ჩვენი საკანონმდებლო დოკუმენტების ევროკავშირის შესაბამის აქტებთან თანხვედრაში მოყვანას გულისხმობს, რაც დეტალურად აღწერილია ასოცირების შეთანხმების დანართებში და შესაბამის სამოქმედო გეგმებში.

მიუხედავად იმისა, რომ მიღებული კანონით თუ სხვა ნორმატიული აქტით შესაძლებელია დადასტურდეს ჩვენი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან თანხვედრაში მოყვანა, აუცილებელია დეტალურად მოხდეს ამ რეგულაციების შემოღების პროცესის და რეგულაციის მიღების შემდეგ მისი აღსრულების მდგომარეობის შესწავლა. აღნიშნული მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კვლევას, საჯარო განხილვების უზრუნველყოფას, სავარაუდო გავლენის პროგნოზირებას და სხვას.

## შეფასების დროითი პერიოდი

შეფასების შემოთავაზებული სისტემა გულისხმობს დაკვირვების დროითი პერიოდის 3 ნაწილად დაყოფას:

- **ვალდებულებების შესრულების წინა პერიოდი** – კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც მოიცავს საჯარო განხილვებს, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგულაციის შემდგომ სიცოცხლისუნარიანობას. პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც ნაჩქარევად და შესაბამისი ანალიზის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებები არ სრულდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შეფასდეს ნორმატიული აქტის მიღების პროცესი. ევროკავშირის დირექტივების ევროკავშირის ქვეყნების მიერ დანერგვის პროცესი მოიცავს ქვეყნების შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებას. ასევე, მნიშვნელოვანია, საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დროს გათვალისწინებულ იქნას საქართველოს სპეციფიკა.
- **ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდი** – ასოცირების შეთანხმების დანართები და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სამოქმედო გეგმები განსაზღვრავენ კონკრეტული ვალდებულებების შესრულების პერიოდს. ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულია ვალდებულებების შესრულების მაქსიმალური პერიოდი, რომელიც შესაძლებელია რამდენიმე წელს მოიცავდეს. მთავრობის მიერ შემუშავებული ყოველწლიური სამოქმედო გეგმა კონკრეტულად განსაზღვრავს ვალდებულებების შესრულების პერიოდს. მნიშვნელოვანია როგორც ზემოთ მოყვანილი დოკუმენტების ინფორმაციის ერთმანეთთან შესაბამისობის დადგენა, ასევე შესრულებული ვალდებულებების კონკრეტული თარიღის განსაზღვრა და მისი ვალდებულებით განსაზღვრულ პერიოდთან შესაბამისობის დადგენა.
- **ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდგომი პერიოდი** – ნებისმიერი რეგულაციის მიღება მიზნად უნდა ისახავდეს შესაბამის სფეროში დადებითი ცვლილების უზრუნველყოფას, წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს კარგავს რეგულაციის მიღება. აღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასების პროცესი მოიცავდეს რეგულაციის მიღების შემდგომ პერიოდს. პროგრესის დადგენა საჭიროებს შესაბამისი პერიოდის გასვლას, რომელიც, როგორც წესი, მინიმუმ 1 წელს მოიცავს.

## შეფასების სისტემის კომპონენტები

შეფასების სისტემა დროითი კომპონენტის პარალელურად ითვალისწინებს სხვადასხვა კომპონენტს:

- **შესრულების იურიდიულ ქრილში შეფასება** – ნაკისრი ვალდებულებების ძირითადი ნაწილი ითვალისწინებს ნორმატიული აქტების მომზადებას ან/და მიღებას. შესაბამისად, შეფასების

პროცესში მნიშვნელოვანია ამ ნორმატიული აქტების ევროპულ ნორმებთან შესაბამისობისა და იურიდიული სტატუსის გარკვევა.

- **ვალდებულების შესრულების პროცესის შეფასება** – აღნიშნული დაკავშირებულია ვალდებულების შესრულებამდე მიმდინარე პროცესთან. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული რეგულაციები უნდა იყოს საჯარო და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ ჩაერთონ ამ პროცესში. ვალდებულების შესრულება საჭიროებს დროში განერილი გეგმის არსებობას, რაც გამოყოფს განსახორციელებელი საქმიანობების ეტაპებს. შესაძლოა ნაკისრი ვალდებულება რეგულაციის მიღებასთან ერთად/ პარალელურად მოიცავდეს კონკრეტული ინფრასტრუქტურული ან სხვა ტიპის სამუშაოების განხორციელებას. მსგავს შემთხვევაში, შესრულებამდე მიმდინარე პროცესის შეფასება მნიშვნელოვანია.
- **დადგინილი რეგულაციების აღსრულების შეფასება** – ახალი რეგულაციის შემოღება ან საჯარო მომსახურების უზრუნველყოფა დაკავშირებულია შესაბამის უწყებასთან, რომელიც ახდენს ამ საქმიანობის აღსრულებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი უწყების განსაზღვრის შესაბამისობის მონიტორინგი. ასევე უნდა დადგინდეს თუ რამდენად აქვს შესაბამის ორგანიზაციას მართვის იურიდიული და ტექნიკური შესაძლებლობა. პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც უწყებას კანონმდებლობით განსაზღვრული აქვს კონკრეტული ფუნქცია, თუმცა ამ საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსი არ გააჩნია.

**სქემა 1: შეფასების სისტემის კომპონენტები**

კრიტერიუმები	ვალდებულების შესრულების		
	წინა პერიოდი	პერიოდი	შემდგომი პერიოდი
შესრულების იურიდიული დადასტურების		X	
შესაძლო გავლენის შეფასების	X		
ჩართულობის შეფასების	X		
რეალური გავლენის შეფასების			X
აღსრულების შეფასების			X

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების შეფასება ითვალისწინებს თანმიმდევრულ ნაბიჯებს, რომელიც წინასწარ უნდა განისაზღვროს შეფასების პროცესის დაწყებამდე.

აღნიშნული მოიცავს როგორც დოკუმენტალური შესწავლის ეტაპს, ასევე ექსპერტული მოსაზრებების შეგროვებას, შესაბამისი ინტერვიუების ჩატარებასა და განსხვავებულ მოსაზრებათა შეჯერებას. აღნიშნული პროცესის სწორად დაგეგმვა განაპირობებს ობიექტური ანალიზის წარმოებას.

შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია იმ საჯარო უწყების მოსაზრების გაანალიზება, რომელიც პასუხისმგებელია ნაკისრი ვალდებულების შესრულებასა და აღსრულებაზე.

**შეფასების მოდელი**

შეფასების სისტემის სტანდარტიზების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, ერთიანი შეფასების მოდელის შემუშავება, სადაც გამოკვეთილი იქნება სტრუქტურა და შესაბამისი შეფასების შკალა.

შეფასების მათემატიკური (ქულების მინიჭებაზე დაფუძნებული) მოდელი ემყარება 2 დონეზე წონების განაწილებას:



1. კომპონენტები – მოიცავს შეფასების სტრუქტურით განსაზღვრულ მსხვილ კომპონენტებს;
2. კომპონენტების მიხედვით ვალიდური ინდიკატორები – უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების დეტალურ შესწავლას.

კომპონენტებს შორის წონების განაწილების დროს არსებული შეზღუდვა მოიცავს დროითი პერიოდის გათვალისწინებას:

1. ვალდებულების შესრულების მომენტამდე განხორციელებული საქმიანობების შეფასება – 20%;
2. ვალდებულების შესრულების იურიდიული დადასტურება – 50%;
3. ვალდებულების შესრულების შემდგომ აღსრულება – 30%.

შეფასების ზემოთ მოყვანილი კომპონენტების პროცენტული განაწილების დროს ვალდებულების სამართლებრივ შესრულებას მაღალი წონა მივანიჭეთ, რადგან მთავარ პირობას სწორედ დოკუმენტის მიღება და შესაბამისი დებულებების ამოქმედება წარმოადგენს.

შეფასების მატრიცის კომპონენტების შემადგენელ ინდიკატორებს შორის წონების გადანაწილების საკითხი სასურველია განიხილოს სამუშაო ჯგუფის (ექსპერტები) შეხვედრაზე, სადაც საკვლევი ობიექტების თითოეულ ინდიკატორს წონა მიენიჭება. თითოეული კომპონენტის ინდიკატორთა წონათა ჯამი შეადგენს 100%-ს. აღნიშნული წონების გადანაწილება წარმოადგენს ექსპერტთა ჯგუფების ხედვას და შესაძლებელია გადაიხედოს და გადაანგარიშდეს კონკრეტული კვლევის წინ, რასაც მარტივად უზრუნველყოფს შემუშავებული საშემფასებლო მატრიცა.

საერთო ჯამში, 3 კომპონენტის მიხედვით 10 ინდიკატორი შემუშავდა. ამ მოდელში მოცემულია სფეროების მიხედვით ინდიკატორების წონები, რომლებიც შესაძლებელია შეიცვალოს, თუმცა მათი ჯამი 100 პროცენტს უნდა შეადგენდეს.

ვალდებულების შესრულების შეფასების ქულობრივი სისტემის გამოყენების მიზნით შემუშავდა ინდიკატორების შეფასების 5-ბალიანი სისტემა, რომელიც საერთო და თავსებადია ყველა კომპონენტისთვის.

კრიტერიუმების შეფასება (ქულების მინიჭება) ხდება შემდეგი მეთოდოლოგიის გამოყენებით:

გამოიყო 5 ბუნებრივი/ინტუიტიური დონე თითოეული კრიტერიუმის შესაფასებლად. შეფასებების დროს, კრიტერიუმის შინაარსიდან გამომდინარე, განიხილება ძირითად-ხარისხობრივი მაჩვენებელი. ხარისხობრივი შეფასების შესაბამისი რიცხობრივი/რაოდენობრივი მაჩვენებლების დასადგენად ასევე გამოიყენება შემდეგი რიცხვები 0 +1, +2, +3; .. კრიტერიუმების შეფასების რანჟირება იწარმოება შემდეგი მატრიცით:

4	ძალიან მაღალი
3	მაღალი
2	საშუალო
1	დაბალი
0	ძალიან დაბალი

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება მოიცავს თავებს და ქვეთავებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ სფეროებს და მიმართულებებს.

თითოეული სფეროს მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, თავის მხრივ, იყოფა სხვადასხვა საქმიანობებად, რომელთა შესრულების მონიტორინგი წარმოადგენს მეთოდოლოგიის შემუშავების მიზანს.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს თითოეული საქმიანობის ცალ-ცალკე შეფასებას.

სფეროს შიგნით არსებული საქმიანობებს/ვალდებულებებს შორის წონების განაწილება წარმოადგენს შეფასების დაწყებისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირველ ამოცანას. აღნიშნულ პროცესში შესაბამისი სფეროს ექსპერტების ჩართულობით უნდა განისაზღვროს შესასრულებელი ვალდებულების და მისი გავლენის მნიშვნელობა. ამ ანალიზის შემდგომ უნდა მიენიჭოს შესაბამისი წონები.

წონების განაწილება (მაგალითი)

სფერო	წონა
ვალდებულება 1	20%
ვალდებულება 2	20%
ვალდებულება 3	30%
ვალდებულება 4	25%
ვალდებულება 5	5%

სფეროს მიხედვით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეფასებაში მონაწილეობს ყველა საქმიანობა, რომელიც უნდა განხორციელდეს მონიტორინგით განსაზღვრულ პერიოდში.

სქემა 2: შეფასების მოდელი

საქმიანობა/ვალდებულება 1:

ჯამური შეფასება		0			
	კომპონენტის წონა	ინდიკატორის წონა	ინდიკატორის შეფასება (1-5)	ინდიკატორის შეფასება (ქულა X წონა)	კომპონენტის შეფასება
	<b>ჯამური მაჩვენებელი</b>	100%	100%		
<b>შეფასების კომპონენტი 1</b>	ინდიკატორი 1,1	20%	20%	0	0
	ინდიკატორი 1,2		30%	0	
	ინდიკატორი 1,3		50%	0	
		100%			
<b>შეფასების კომპონენტი 2</b>	ინდიკატორი 2,1	60%	20%	0	0
	ინდიკატორი 2,2		30%	0	
	ინდიკატორი 2,3		50%	0	
		100%			
<b>შეფასების კომპონენტი 3</b>	ინდიკატორი 3,1	20%	20%	0	0
	ინდიკატორი 3,2		30%	0	
	ინდიკატორი 3,3		50%	0	
					0

შეფასების სტრუქტურის მიხედვით თითოეული კომპონენტისთვის შეფასებადი ინდიკატორები აკმაყოფილებს შემდეგ მახასიათებლებს:

- **პროგრესის საზომი** – ინდიკატორის გამოთვლის პროცესი ისეთნაირად არის აწყობილი, რომ კრიტერიუმის უფრო დიდი მნიშვნელობა ყოველთვის უკეთესი შედეგის მანიშნებელია;
- **გაზომვადი** – შეფასება ეფუძნება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს;
- **ხელმისაწვდომი** – ინფორმაციის გადამონმება შესაძლებელია დაინტერესებული პირების მხრიდან;
- **არამანიპულირებადი** – ინდიკატორის მონაცემები და შეფასებები არ უნდა იძლეოდეს ორმაგი ინტერპრეტირების საშუალებას.

შეფასების კომპონენტების მიხედვით შერჩეულია შემდეგი ინდიკატორები:

- **კომპონენტი 1 – ვალდებულების შესრულების მოსამზადებელი პერიოდი**
  - კრიტერიუმი 1 – გამოყოფილი დროის შესაბამისობა;
  - კრიტერიუმი 2 – პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა;
  - კრიტერიუმი 3 – მოსალოდნელი შედეგების წინასწარი შესწავლის ხარისხი;
  - კრიტერიუმი 4 – პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა.
- **კომპონენტი 2 – ვალდებულების შესრულების პერიოდი**
  - კრიტერიუმი 1 – ვალდებულების შესრულების დადასტურება;
  - კრიტერიუმი 2 – ვალდებულების დროული შესრულება;
  - კრიტერიუმი 3 – ვალდებულების შესრულების სისრულე.
- **კომპონენტი 3 – ვალდებულების შესრულების შემგომი პერიოდი**
  - კრიტერიუმი 1 – ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი;
  - კრიტერიუმი 2 – პასუხისმგებელი უწყების საქმიანობის შეფასება;
  - კრიტერიუმი 3 – ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება.

## ვალდებულების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ვალდებულების შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კონკრეტული ქმედების შეფასებას წინასწარ განსაზღვრული ქულობრივი სისტემის მიხედვით.

ჯამში შეფასება ხდება 10 კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც 3 დროით დიაპაზონს მოიცავს.

## კრიტერიუმი 1: ვალდებულების შესასრულებლად გამოყოფილი დროის შესაბამისობა

აღნიშნული კრიტერიუმი ითვალისწინებს ხელისუფლების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის თანახმად განსაზღვრული დროის შესწავლას. ვალდებულებების უმეტესობა დაკავშირებულია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებასთან, რომელიც თავის მხრივ მომზადებას (მ.შ. ამ პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართვას) და საჯარო განხილვების წარმოებას ითვალისწინებს. ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილებები ახალი რეგულაციის მიმღებლობას ქართული საზოგადოებისთვის და პრაქტიკაში მის ეფექტურ გამოყენებას რისკს უქმნის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდეს ვალდებულების შესრულებისთვის გამოყოფილი (ხელისუფლების მიერ განსაზღვრული) დროის ადეკვატურობა.

ამ ინდიკატორის შესაფასებლად უნდა გაანალიზდეს ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისი დანართების, სამოქმედო გეგმების და მთავრობის მიერ მათი შესრულების ანგარიშები. შეფასების დროს გამოიყენება 5-ბალიანი სისტემიდან 3 შეფასების ქულა:

ქულა	ბანმარტივა
0	გამოყოფილი დრო არაადეკვატურად მცირეა
2	გამოყოფილი დრო საკმარისი არ არის
4	გამოყოფილი დრო სრულიად საკმარისია

**კრიტერიუმი 2: პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა**

ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე ხელისუფლების მხრიდან განსაზღვრულია შესაბამისი სახელმწიფო უწყება. აღნიშნული უწყების შესაძლებლობასა და მუშაობაზე არის დამოკიდებული ვალდებულების დროული და სრულყოფილი შესრულება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდეს არის თუ არა სათანადო ფუნქციებით აღჭურვილი სახელმწიფო უწყება. შეფასების დროს ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას სფეროსთან უწყების შემხებლობის ხარისხი და არსებული ადამიანური რესურსი. მნიშვნელოვანია განისაზღვროს, შესაბამის უწყებას გააჩნია სათანადო უფლებამოსილება და შესაძლებლობები რეგულაციით დადგენილ ყველა სფეროში.

ამ ინდიკატორის შესაფასებლად უნდა მოხდეს ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისი დანართების და სამოქმედო გეგმების გაანალიზება. ასევე საჭიროა საკანონმდებლო დონეზე უწყებისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ანალიზი.

შეფასების დროს გამოიყენება 5-ბალიანი სისტემიდან 3 შეფასების ქულა:

ქულა	ბანმარტივა
0	უწყება არ არის აღჭურვილი შესაბამისი უფლებამოსილებით
2	უწყება ნაწილობრივ აღჭურვილია შესაბამისი უფლებამოსილებებით და მათი რეალიზაციის საშუალებებით
4	უწყება კომპეტენტურია და აღჭურვილია შესაბამისი უფლებამოსილებით

**კრიტერიუმი 3: რეგულაციის მოსალოდნელი შედეგის შესწავლის ხარისხი და მოსალოდნელი ნებათაღრი შედეგების შერბილების/ აღმოფხვრის გზა**

ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულება აუცილებელ პირობას წარმოადგენს, თუმცა რეგულაციების მიღებამდე მნიშვნელოვანია მისი შემოღებით მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი ეფექტების დეტალური ანალიზი. აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვანია მიმდინარეობდეს სფეროს ექსპერტების ჩართულობით და არსებობდეს შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთება. შესაძლებელია გავლენის ეფექტების შესახებ ინფორმაცია მოცემული იყოს ნორმატიული აქტის განმარტებით ბარათში. შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტების გამოთხოვა და დეტალური შესწავლა. მოსალოდნელი გავლენის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია

მოცემული იყოს სხვადასხვა სფეროზე გავლენის მიხედვით (მაგალითად: საჯარო ფინანსებზე, ადამინურ რესურსზე და სხვა).

რეგულაციის მოსალოდნელი შედეგების დეტალური შესწავლა შესაძლებლობას იძლევა დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები უარყოფითი გავლენის შესამცირებლად და დადებითი ეფექტის გაზრდის მიმართულებით.

ამ ინდიკატორის შესაფასებლად უნდა მოხდეს ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისი დანართების, მთავრობის სამოქმედო გეგმების და შესრულების ანგარიშების გაანალიზება. ასევე საჭიროა პასუხისმგებელი უწყებიდან შესაბამისი დოკუმენტების გამოთხოვა, მათ შორის, განმარტებითი ბარათები და ექსპერტებთან ჩატარებული შეხვედრების ოქმები.

შეფასების დროს გამოიყენება 5-ბალიანი სისტემიდან 5 შეფასების ქულა:

ქულა	განმარტება
0	არ არის შესწავლილი
1	ნაწილობრივ არის შესწავლილი
2	სრულად არის შესწავლილი, მაგრამ ნეგატიური შედეგების შერბილების გეგმა არ მომზადებულა
3	სრულად არის შესწავლილი, მაგრამ ნეგატიური შედეგების შერბილების გეგმა არასრულია
4	სრულად არის შესწავლილი და ნეგატიური შედეგების შერბილების გეგმა ადეკვატურია

#### კრიტერიუმი 4: პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა

ახალი რეგულაციის ან არსებულში ცვლილებების შეტანის პროცესი გამჭვირვალობით და საჯაროობით უნდა ხასიათდებოდეს. რეგულაციის შემუშავების, განხილვის და დამტკიცების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართვის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად განაპირობებს მიღებული რეგულაციის რეალისტურობას და საზოგადოებაში მის სწორ აღქმას.

გამჭვირვალობისა და საჯაროობის კომპონენტის შეფასება საჭიროებს პასუხისმგებელი უწყებიდან ინფორმაციის გამოთხოვას და ანალიზს. ეს მოიცავს საჯარო განხილვების, ექსპერტთა ჯგუფებთან შეხვედრების ოქმებს და ჩანაწერებს. ასევე უნდა გაანალიზდეს უწყების ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია რეგულაციის მიღების პროცესში გამართული კონსულტაციების შესახებ.

ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად მიღებული არასრული ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფს აძლევს დაბალი შეფასების გაკეთების საშუალებას, რადგან თვით ეს პროცესიც გამჭვირვალობის და საჯაროობის კომპონენტია.

შეფასების დროს გამოიყენება 5-ბალიანი სისტემიდან 5 შეფასების ქულა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ არის შეჯერებული. აღნიშნულ შეფასებას უნდა ახლდეს დასაბუთება.



ქულა	განმარტება
0	ძალიან დაბალი მაჩვენებელი (დაინტერესებული პირებისთვის ნორმატიული აქტის პროექტი ხელმისაწვდომი არ ყოფილა)
1	დაბალი მაჩვენებელი (ნორმატიული აქტის პროექტი ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ კომენტირება იყო შეზღუდული/ფორმალური)
2	საშუალო მაჩვენებელი (ნორმატიული აქტის პროექტი დროულად იყო ხელმისაწვდომი და დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ კომენტირება, თუმცა კომენტარების დიდი ნაწილი გათვალისწინებული არ არის)
3	მაღალი მაჩვენებელი (დაინტერესებული მხარეები ჩართული იყვნენ ნორმატიული აქტის შემუშავების ეტაპიდან, თუმცა მათი შენიშვნების დიდი ნაწილი არ არის გათვალისწინებული)
4	ძალიან მაღალი მაჩვენებელი (დაინტერესებული მხარეები ჩართული იყვნენ ნორმატიული აქტის შემუშავების ეტაპიდან, მათი შენიშვნების დიდი ნილი გათვალისწინებულია)

### კრიტერიუმი 5: ვალდებულების შესრულების დადასტურება

ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულება, უმეტეს შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამისი დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანას ითვალისწინებს, რაც ნიშნავს, ამა თუ იმ ნორმატიული აქტის მიღებას/ცვლილებას და სრულად ამოქმედებას. შეფასების დროს მნიშვნელოვანია შევისწავლოთ გარდამავალი დებულებები, რომელმაც შესაძლოა გადაავადოს კონკრეტული რეგულაციის ამოქმედება. შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, ვალდებულების დადასტურება ხდება ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული რეგულაციის და მისი ამოქმედების ვადის შესრულების მიხედვით.

ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად მნიშვნელოვანია შესაბამისი ნორმატიული აქტის მოძიება და იურიდიული ანალიზი, რაც გულისხმობს დოკუმენტის ძალაში შესვლის სამართლებრივი ასპექტების შესწავლას, ასევე დოკუმენტის სტატუსის ანალიზს (პროექტი, ძალაში შესული დოკუმენტი).

მსგავს შემთხვევებში უნდა მოხდეს შესაბამისი დირექტივის/რეგულაციის კონკრეტული მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვისა და ამოქმედების დადასტურება.

ამ ინდიკატორის შესაფასებლად უნდა მოხდეს ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისი დანართების და სამოქმედო გეგმების გაანალიზება. ასევე საჭიროა პასუხისმგებელი უწყებიდან შესაბამისი დოკუმენტების გამოთხოვა. მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნებული დოკუმენტების შესწავლა.

შეფასების დროს გამოიყენება 5-ბალიანი სისტემიდან 3 შეფასების ქულა:

ქულა	ბანმარტება
0	შესაბამისი აქტი (ან აქტის ნაწილი) არ დამტკიცებულა/მიღებულა
2	აქტი (ან აქტის ნაწილი) დამტკიცებულია/მიღებულია, მაგრამ ძალაში არ შესულა
4	აქტი (ან აქტის ნაწილი) დამტკიცებულია/მიღებულია და ძალაში შესულია

### კრიტერიუმი 6: ვალდებულების შესრულების დროულობა

ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულება შესაძლოა შესრულდეს დროულად ან დაგვიანებით. შესაბამის დანართში მოცემულია თითოეული ვალდებულების შესრულების პერიოდი და ბოლო თარიღი. წინა ინდიკატორი ადგენს ვალდებულების შესრულების დადასტურებას, ხოლო წარმოდგენილი ინდიკატორი ახდენს მისი დროულობის შეფასებას. დროულად მიღებული გადანყვეტილებები რეგულაციით გათვალისწინებული დადებითი ეფექტების დროულ მიღებას უზრუნველყოფს, რაც მნიშვნელოვანია.

ვალდებულების შესრულების დროულობის დადგენა გულისხმობს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი კონკრეტული ვალდებულების შესრულების დროის დადგენას. შესაბამისად, რეგულაციის მიღებასთან ერთად თითოეული პუნქტის ამოქმედების ვადების შესწავლა უნდა განხორციელდეს.

ამ ინდიკატორის შესაფასებლად უნდა მოხდეს ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისი დანართების და სამოქმედო გეგმების გაანალიზება. ასევე მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი უწყების ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნებული დოკუმენტების შესწავლა. მიზანს წარმოადგენს შესრულების კონკრეტული პერიოდის და თარიღის დადგენა.

შეფასების დროს გამოიყენება 5-ბალიანი სისტემიდან 3 შეფასების ქულა:

ქულა	ბანმარტება
0	არ არის შესრულებული
2	შესრულებულია დაგვიანებით
4	შესრულებულია დროულად

### კრიტერიუმი 7: ვალდებულების შესრულების სისრულე

ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულია კონკრეტული რეგულაციის კონკრეტული მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვა და ამოქმედება. შესაძლებელია ერთი რეგულაციის რამდენიმე ნაწილის შესრულება იყოს განსაზღვრული ასოცირების შეთანხმების დანართით. ასევე შესაძლებელია, რომ ამ ვალდებულებების შესრულების დრო განსხვავებული იყოს. მსგავს შემთხვევებში ვალდებულებად ითვლება საკვლევ პერიოდში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. თითოეული რეგულაცია მოიცავს სხვადასხვა დებულებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შეფასების დროს განიხილოს თითოეული დებულება და მისი შესრულება, რაც წარმოადგენს ექსპერტთა ჯგუფის კვლევის მთავარ საგანს.

ამ ინდიკატორის შესაფასებლად უნდა გაანალიზდეს ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისი დანართები, მათში მითითებული რეგულაციები და დირექტივები და შესაბამისი ქართული ნორმატიული აქტები. მიზანია დებულებების დონეზე შესრულების შესწავლა.

შეფასების პროცესში უნდა მოხდეს კანონმდებლობაში სრული/არასრული ასახვის და რეგულაციის შესაბამისი ნორმების სრული/არასრული ამოქმედების შესწავლა.

შეფასების დროს გამოიყენება 5-ბალიანი სისტემიდან 5 შეფასების ქულა:

ქულა	განმარტება
0	არ არის შესრულებული (არ არის ასახული კანონმდებლობაში)
1	ნაწილობრივ არის შესრულებული (ნაწილობრივ ასახულია კანონმდებლობაში)
2	ნაწილობრივ არის შესრულებული (სრულად არის კანონმდებლობაში ასახული, მაგრამ საერთოდ არ არის ამოქმედებული)
3	ნაწილობრივ არის შესრულებული (სრულად არის კანონმდებლობაში ასახული, მაგრამ არ არის სრულად ამოქმედებული)
4	სრულად არის შესრულებული (ასახულია კანონმდებლობაში და ამოქმედებულია)

### კრიტერიუმი 8: ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი

ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მთავარ მიზანს წარმოადგენს კონკრეტულ სფეროში პროგრესის უზრუნველყოფა, რომლის საბაზისო და საპროგნოზო მაჩვენებლები რეგულაციების შემუშავების პროცესში უნდა იყოს განხილული. ახალი რეგულაციის ან არსებულის დახვეწის შედეგად წარმოქმნილი ეფექტის გაზომვა შესაძლებელია მიღებიდან კონკრეტული პერიოდის გასვლის შემდეგ, რადგან ეფექტი მყისიერად არ არის გაზომვადი. შედეგის გაზომვა ასევე საჭიროებს შესაბამისი მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმის შეფასება ხდება რეგულაციის მიღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ. თუ აღნიშნული პერიოდი არ არის გასული ინდიკატორები N8, N9 და N10 არ ფასდება. შესაბამისად, შეფასების სისტემით ამ ინდიკატორებზე გამოყოფილი წონები ნაწილდება წინა ინდიკატორებზე პროპორციულად.

შეფასება ხდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ და შესაბამისი ქულა საჭიროებს ლოგიკურ დასაბუთებას. ეფექტის გაზომვის დროს შედეგი უნდა შედარდეს რეგულაციის მიღების პროცესში არსებულ მაჩვენებლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ეფექტის შეფასება ხდება რეგულაციით მოცულ სფეროში და დარდება იმ სავარაუდო/სასურველ შედეგს, რომელსაც ამა თუ იმ დებულების ქართულ კანონმდებლობაში გადმოტანა და ამოქმედება წარმოადგენდა.

შეფასების დროს გამოიყენება 5-ბალიანი სისტემიდან 5 შეფასების ქულა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ არის შეჯერებული. აღნიშნულ შეფასებას უნდა ახლდეს დასაბუთება. საწყისი და სამიზნე მაჩვენებლების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია შედეგის მაჩვენებლის სეგმენტაცია (0-20%; 21-40%; 41-60%; 61-80%; 81-100%)

ქულა	განმარტება
0	ძალიან დაბალი მაჩვენებელი
1	დაბალი მაჩვენებელი
2	საშუალო მაჩვენებელი
3	მაღალი მაჩვენებელი
4	ძალიან მაღალი მაჩვენებელი

### კრიტერიუმი 9: პასუხისმგებელი უწყების საქმიანობის შეფასება

რეგულაციის აღსრულება დამოკიდებულია პასუხისმგებელ უწყებაზე, რომელიც კანონმდებლობით არის განსაზღვრული. შესაძლებელია ერთზე მეტი უწყება იყოს აღსრულების პროცესში ჩართული. მსგავს შემთხვევაში შეფასებაში მონაწილეობს ყველა უწყება. ინდიკატორის მიზანია უწყებისთვის ასოცირების შეთანხმების შედეგად შეცვლილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ხარისხის შეფასება. აღნიშნული საჭიროებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვას და გაანალიზებას. შეფასება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის ანალიზს და დასაბუთებას.

ამ კრიტერიუმის შეფასება ხდება რეგულაციის მიღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ. თუ აღნიშნული პერიოდი არ არის გასული ინდიკატორები N8, N9 და N10 არ ფასდება. შესაბამისად შეფასების სისტემით ამ ინდიკატორებზე გამოყოფილი წონები ნაწილდება წინა ინდიკატორებზე პროპორციულად.

შეფასების დროს გამოიყენება 5-ბალიანი სისტემიდან 5 შეფასების ქულა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ არის შეჯერებული. აღნიშნულ შეფასებას უნდა ახლდეს დასაბუთება. სანყისი და სამიზნე მაჩვენებლების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია შედეგის მაჩვენებლის სეგმენტაცია (0-20%; 21-40%; 41-60%; 61-80%; 81-100%)

ქულა	განმარტება
0	ძალიან დაბალი მაჩვენებელი
1	დაბალი მაჩვენებელი
2	საშუალო მაჩვენებელი
3	მაღალი მაჩვენებელი
4	ძალიან მაღალი მაჩვენებელი

### კრიტერიუმი 10: ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგების სისრულე

გამჭვირვალობისა და საჯაროობის კომპონენტის შეფასება საჭიროებს პასუხისმგებელი უწყებიდან ინფორმაციის გამოთხოვას და ანალიზს. ეს მოიცავს საჯარო განხილვების, ექსპერტთა ჯგუფებთან შეხვედრების ოქმებს და ჩანაწერებს. ასევე უნდა გაანალიზდეს უწყების ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია რეგულაციის მიღების შემდგომ პერიოდში არსებული ეფექტების შესახებ.

ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად მიღებული არასრული ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფს აძლევს დაბალი შეფასების გაკეთების საშუალებას, რადგან თვით ეს პროცესიც გამჭვირვალობის და საჯაროობის კომპონენტია.

ამ კრიტერიუმის შეფასება ხდება რეგულაციის მიღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ. თუ აღნიშნული პერიოდი არ არის გასული ინდიკატორები N8, N9 და N10 არ ფასდება. შესაბამისად, შეფასების სისტემით ამ ინდიკატორებზე გამოყოფილი წონები ნაწილდება წინა ინდიკატორებზე პროპორციულად.

შეფასების დროს გამოიყენება 5 ბალანიანი სისტემიდან 5 შეფასების ქულა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ არის შეჯერებული. აღნიშნულ შეფასებას უნდა ახლდეს დასაბუთება.

ქულა	განმარტება
0	ძალიან დაბალი მაჩვენებელი
1	დაბალი მაჩვენებელი
2	საშუალო მაჩვენებელი
3	მაღალი მაჩვენებელი
4	ძალიან მაღალი მაჩვენებელი

## შეფასების მანხორციელების ეტაპები

მონიტორინგის და შეფასების პროცესის განხორციელება საჭიროებს კონკრეტული ეტაპების განსაზღვრას და თანმიმდევრულ ქმედებას. აღნიშნული პროცესის სწორად წარმართვა უზრუნველყოფს მიუკერძოებელი და პროფესიონალური ანალიზის წარმოებას.

### ეტაპი 1: სფეროს შერჩევა

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგის განხორციელების დროს აუცილებელია ზუსტად განვსაზღვროთ კვლევის ობიექტი. შეთანხმება მოიცავს სხვადასხვა სფეროს მიხედვით ნაკისრ ვალდებულებას, რომელთა ერთიანი შესწავლა თითქმის შეუძლებელია.

შესაბამისად, მონიტორინგის და შეფასების დროს აუცილებელია გამოიყოს კონკრეტული სფერო და მის შესახებ მოხდეს ანგარიშის მომზადება.

აღნიშნული სფეროები ასოცირების შეთანხმების დოკუმენტში მოცემულია კარების და თავების სახით. მაგალითად, ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-6 კარის პირველი თავი განსაზღვრავს ტრანსპორტის სფეროში საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობას:

- მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარების ხელშეწყობა;
- ტრანსპორტის ეფექტიანი და უსაფრთხო მუშაობის უზრუნველყოფა;
- სატრანსპორტო სისტემების ინტერმოდალურობა და ურთიერთთავსებადობა;
- საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიებს შორის ძირითადი სატრანსპორტო კავშირების გაძლიერება.

შერჩეულ სფეროში ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია იმ დოკუმენტების განხილვა, რომლებიც დეტალურად განმარტავენ ხელისუფლების მიერ აღებულ ვალდებულებებს:

- საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება;
- ასოცირების ხელშეკრულების დანართები;



- ასოცირების დღის წესრიგი (2014-2016; 2017-2020);
- საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმები (წლების მიხედვით);
- ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული სხვა საერთაშორისო დოკუმენტები (მაგალითად, ტრანსპორტის სფეროში – ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმება).

## მეხაპი 2: კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრა

ასოცირების შეთანხმების ძირითადი ტექსტი აყალიბებს ურთიერთთანამშრომლობის მიზნებსა და ამოცანებს, ხოლო დოკუმენტების დანართები დეტალურად ადგენენ ნაკისრ ვალდებულებებს და მათი განხორციელების ვადებს.

ტრანსპორტის სფეროს მაგალითის შესაბამისად, ასოცირების შეთანხმების XXIV და XV-D დანართებში დეტალურად აღწერილია ტრანსპორტის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებები.

დანართი XXIV მოიცავს:

- საგზაო ტრანსპორტს,
- სარკინიგზო ტრანსპორტს,
- საჰაერო ტრანსპორტს.

ხოლო დანართი XV-D მოიცავს საზღვაო ტრანსპორტს.

თითოეული ტრანსპორტის ტიპისთვის განსაზღვრულია შემდეგი პირობები:

- ტექნიკური პირობები,
- უსაფრთხოების პირობები,
- სოციალური პირობები,
- ფისკალური პირობები.

## მეხაპი 3: სფეროს შემადგენელი მიმართულებების წონების განსაზღვრა

სფეროს მოცულობიდან გამომდინარე შესაძლებელია მისი შემადგენელ ერთ-ერთ საკითხზე კონცენტრირება.

**მაგალითად:** ტრანსპორტის სფეროში არსებული მსხვილი მიმართულებებიდან მონიტორინგისთვის შესაძლებელია შეირჩეს საგზაო ტრანსპორტის მიმართულება.

იმ შემთხვევაში თუ მთლიანი სფეროს მონიტორინგი და შეფასება დაგეგმილია, პირველ ეტაპზე აუცილებელია მის შემადგენელ მიმართულებებს შორის წონების განაწილება. აღნიშნული განაწილება წარმოადგენს თემაზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რომელიც უნდა გამყარდეს შესაბამისი არგუმენტაციით.

ხშირად სფეროს შემადგენელი მიმართულებები მეტ-ნაკლებად თანაბარწონიანია და პრობლემას არ წარმოადგენს მათ შორის წონების განაწილება.

**მაგალითი:**

მიმართულება	წონა
საგზაო ტრანსპორტი	25%
სარკინიგზო ტრანსპორტი	25%
საჰაერო ტრანსპორტი	25%
საზღვაო ტრანსპორტი	25%

**თხაპი 4: კონრეტული ვალდებულებების შესრულების პერიოდის განსაზღვრა**

მონიტორინგის და შეფასების განხორციელების დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია კვლევის ობიექტთან ერთად განისაზღვროს საკვლევი პერიოდი, რომელზეც დამოკიდებულია ნაკისრი ვალდებულებების ჩამონათვალის შერჩევა.


**მაგალითად:** „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესაბამისად ქართული მხარის მიერ **2014-2018 წლებში ტრანსპორტის სფეროში** შესასრულებლად აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ანალიზი.“

მომდევნო ეტაპზე უნდა განისაზღვროს სფეროს მიმართულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების ჩამონათვალი და მათი შესრულებისთვის განსაზღვრული ვადები.

ასოცირების შეთანხმების დანართებში დეტალურად მითითებულია ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის ნომერი და სახელწოდება, რომელიც უნდა შესრულდეს წინასწარგანსაზღვრულ პერიოდში. აღნიშნული ვალდებულებები დაყოფილია როგორც ტრანსპორტის ტიპის, ასევე პირობების ჭრილში. თითოეული ვალდებულების შესასრულებლად მოცემულია ვადები, რომელთა განხილვაც ხდება ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმებით ნაკისრი ვალდებულებების განხილვის დროს.

ვალდებულებების განხილვისას შესაძლებელია მოცემული იყოს ევროკავშირის დირექტივა და წლების მიხედვით განერილი იყოს მისი შესრულების ეტაპები (პროექტის მომზადება, განხილვა, დამტკიცება). მსგავს შემთხვევაში მონიტორინგის საგანს წარმოადგენს მონიტორინგით მოცემულ პერიოდში ნაკისრი ვალდებულებების შემოწმება.

სქემა 3: საგზაო ტრანსპორტი



## მეხაგი 5: კონკრეტული ვალდებულებების წონების განსაზღვრა

საანაგიშო პერიოდში განსახორციელებელი ვალდებულებების დეტალური შესწავლის შემდეგ ეტაპს წარმოადგენს ვალდებულებების ჩამონათვალის გაკეთება და მათ შორის წონების განაწილება. აღნიშნულ პროცესში, ისევე როგორც სფეროების მიმართულებებს შორის წონების განაწილება, ჩართული არიან სფეროს ექსპერტები და მათი გამოცდილების და შეხედულების მიხედვით ხორციელდება კონკრეტული ვალდებულებების წონის მინიჭება. წონების განაწილება საჭიროებს ექსპერტების მხრიდან შესაბამის დასაბუთებას, რაც დანართის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.

**მაგალითი: საგზაო ტრანსპორტის სფეროში ნაკისრი ვალდებულებები და მათი წონები**

ვალდებულება	წონა
<b>ტექნიკური პირობები</b>	
გზებზე ვარგისიანობის დასადგენად შესაბამისი ტესტირება – 2009 წლის 6 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/40/EC დირექტივა	20 %
ზოგიერთი კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების დაყენება – 1992 წლის 10 თებერვლის საბჭოს 92/6/EEC დირექტივა	7 %
ეროვნულ და საერთაშორისო გადაზიდვებში მაქსიმალური განზომილებები და წონა – 1996 წლის 25 ივლისის საბჭოს 96/53/EC დირექტივა	6 %
<b>უსაფრთხოების პირობები</b>	
მართვის მოწმობების აღებასთან დაკავშირებული პრაქტიკული და თეორიული საკითხები – 2006 წლის 20 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/126/EC დირექტივა	20 %
სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვა – 2008 წლის 24 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/68/EC დირექტივა	14 %
<b>სოციალური პირობები</b>	
მოდრავ საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა სამუშაო დროის ორგანიზება – 2002 წლის 11 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2002/15/EC	5 %
საგზაო ტრანსპორტში ხმის ჩამწერი მოწყობილობები – 1985 წლის 20 დეკემბრის საბჭოს (EEC) N 3821/85 რეგულაცია	4 %
ავტოსატრანსპორტო ოპერატორის დასაქმების მიზნით შესასრულებელი პირობები – 2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1071/2009 რეგულაცია	4 %

ვალდებულება	წონა
<b>სოციალური პირობები</b>	
მძღოლების საწყისი კვალიფიკაცია და პერიოდული ტრენინგები – 2003 წლის 15 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2003/59/EC	5 %
საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული სოციალური კანონმდებლობის ჰარმონიზაცია – 2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 561/2006 რეგულაცია	5 %
ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქმიანობასთან დაკავშირებულ სოციალურ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სისრულეში მოყვანის მინიმალური პირობები – 2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/22/EC დირექტივა	5 %
საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სოციალური კამპანიის განხორციელება	5 %

## ქვეპი 6: თითოეული ვალდებულების შესრულების შეფასება წინასწარბანსაზღვრული მეთოდოლოგიით

კონკრეტული ვალდებულების განსაზღვრის და შესაბამისი წონების მინიჭების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს ვალდებულების შეფასება 5-ბალიანი სისტემის გამოყენებით.

მნიშვნელოვანია სამუშაო ჯგუფმა შეფასების დროს ვალდებულებები ჩაშალოს ქვე-ვალდებულებებად და შესაბამისად მოახდინოს ქულების მინიჭება.

შეფასების მოდელის ქვეთავში დეტალურად აღწერილია 5-ბალიანი სისტემის გამოყენების ინსტრუქცია.

შეფასება ხდება თითოეული ვალდებულების ჩრილში წინასწარშემუშავებული ინდიკატორების გამოყენებით. ინდიკატორების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შეფასების კრიტერიუმების თავში.

**მაგალითი: ტრანსპორტის სფეროში ნაკისრი ვალდებულების (გზებზე ვარგისიანობის დასადგენად შესაბამისი ტესტურების სიტემის ამუშავება).**

ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ტრანსპორტის სფეროს ვალდებულების შეფასება 2019 წელს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტით წარმოდგენილი შეფასების მოდელის ყველა კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოყენებული არ ყოფილა, თუმცა შეგვიძლია რამდენიმე კომპონენტის შეფასების მაგალითის მოყვანა.

**ვალდებულება:** საქართველოს კანონმდებლობის 2009 წლის 6 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/40/EC დირექტივის დებულებებთან (ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობის ტესტების შესახებ) დაახლოება.

ასოცირების შეთანხმების XXIV დანართის მიხედვით ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან:



- ორი წლის განმავლობაში ავტობუსებისა და სატვირთო მანქანებისთვის. შესაბამისად, ვადა განსაზღვრულია 2016 წლის 1 სექტემბრამდე.
- ოთხი წლის განმავლობაში სხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის. შესაბამისად ვადა განსაზღვრულია 2018 წლის 1 სექტემბრამდე.

**შესრულების მდგომარეობა:** აღნიშნული ვალდებულება გვხვდება როგორც 2016 წლის, ასევე 2017 წლის სამოქმედო გეგმაში. 2016 წლის ღონისძიება შედარებით ზოგადია და დებულების განხორციელებას ისახავს მიზანდ. 2017 წლის ღონისძიება კი კონკრეტულად განერილია: ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობის ტესტების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 6 მაისის 2009/40/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით ტექნიკური რეგლამენტის შემუშავების დაწყება და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვისთვის ინტერესთა გამოხატვა. ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“. მთავრობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების თარიღი და შინაარსი შესაბამისობაშია ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის ანგარიშში მითითებულია, რომ 2016 წელს დირექტივის დებულებების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვისა და შესრულების მიზნით, სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტის „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე.“

შეფასების შემოთავაზებული სისტემის გამოყენების შემთხვევაში ექსპერტები შეძლებდნენ შეეფასებინათ:

- კრიტერიუმი 1: ვალდებულების შესასრულებლად გამოყოფილი დროის შესაბამისობა: ვალდებულების პირველი ნაწილის შესასრულებლად ხელისუფლების მიერ გამოყოფილი დრო საკმარისად არ იქნა მიჩნეული, რადგან მნიშვნელოვანი რეგულაციის პროექტის განხილვისა და დამტკიცების პროცესისთვის 2016 წლის დასაწყისიდან 2016 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდი არ არის საკმარისი. (ქულა 2)
- კრიტერიუმი 2: პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა: არსებული მონაცემებით ორივე უწყება საკმარისად იყო აღჭურვილი ფუნქციებით და რესურსით (ქულა 4)
- კრიტერიუმი 3: მოსალოდნელი ეფექტის შესწავლის ხარისხი: ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული კრიტერიუმი დეტალურად შესწავლილი არ არის.
- კრიტერიუმი 4: პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული კრიტერიუმი დეტალურად შესწავლილი არ არის, თუმცა მნიშვნელოვანი საინფორმაციო კამპანია იქნა ჩატარებული.

საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 1 დეკემბერს N510 დადგენილებით დაამტკიცა ტექნიკური რეგლამენტი – „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“. 2017-2018 წლებში დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტში ერთი ცვლილება განხორციელდა.

საქართველოს ტექნიკური რეგლამენტების მიზნები შესაბამისობაშია ევრორეგულაციასთან:

- სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ერთიანი ორგანიზაციულ-ტექნიკური და ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბება;
- სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათი ტექნიკური გაუმართაობით გამოწვეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, ადამიანისა და გარემოსათვის მიყენებული ზიანის მინიმიზაცია;
- საავტომობილო მიმოსვლისას მძღოლის, მგზავრისა და ქვეითის უსაფრთხოების, აგრეთვე საავტომობილო გზების, საგზაო ნაგებობებისა და ტვირთის დაცულობის გაუმჯობესება;

- სატრანსპორტო საშუალებების სრული ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში, გამონაბოლქვის მინიმუმამდე შემცირება

საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს იმ სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალს, რომელთაც არ ეხება აღნიშნული რეგულაცია. გამონაკლისები შესაბამისობაშია ევრორეგულაციით დადგენილ გამონაკლისებთან.

საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს მიერ შესაბამის სფეროში აკრედიტებულ ინსპექტირების ცენტრებში. რომლის ტერიტორია, შენობა-ნაგებობები, მონყობილობა-დანადგარები, პროგრამული უზრუნველყოფა, პერსონალის კვალიფიკაცია, შესაბამისი დოკუმენტაცია და ტექნოლოგიური პროცესები აკმაყოფილებს „ტექნიკური რეგლამენტის – ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ინსპექტირების სამუშაოებისა და პროცედურების სრულად შესრულებას. ინსპექტირების ჩასატარებლად სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე (მფლობელი) დამოუკიდებლად ირჩევს ინსპექტირების ცენტრს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ადგილისა და თავისი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია მომდევნო სამი ინდიკატორი შეფასდეს :

ინდიკატორი 5: ვალდებულების შესრულების დადასტურება (შესრულებულია)

ინდიკატორი 6: ვალდებულების დროული შესრულება (შესრულებულია დაგვიანებით)

ინდიკატორი 7: ვალდებულების შესრულების სისრულე (შესრულებულია სრულად)

კვლევის თანახმად: 2018 წლის მონაცემებით საქართველოში 40 სუბიექტს ჰქონდა გავლილი აკრედიტაცია. შესაბამისად, ამ მომსახურების ერთი სუბიექტის ხელში მოქცევის რისკი არ არსებობს. ასევე ხაზგასასმელია, რომ ტექნიკური დათვალიერების საფასური კანონმდებლობით გათვალისწინებულია და მისი ცვლილება ტექნიკური ინსპექტირების ცენტრს არ შეუძლია. 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას დაექვემდებარა  $M_2, M_3, N_2, N_3, O_3, O_4^1$  კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებები არაუგვიანეს რეგისტრაციის მოწმობაში მითითებული რეგისტრაციის თვისა და რიცხვისა. 2018 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 1 ივლისის ჩათვლით პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას დაექვემდებარა იურიდიული პირის მფლობელობაში და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული  $M_1$  კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებები არაუგვიანეს რეგისტრაციის მოწმობაში მითითებული რეგისტრაციის თვისა და რიცხვისა.

2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2019 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას დაექვემდებარა  $M_1$  კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა ძრავის მუშა მოცულობა შეადგენს 3000 კუბურ სანტიმეტრს ან მეტს არაუგვიანეს რეგისტრაციის მოწმობაში მითითებული რეგისტრაციის თვისა და რიცხვისა.

2019 წლის პირველი იანვრიდან პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას დაექვემდებარა ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება არაუგვიანეს რეგისტრაციის მოწმობაში მითითებული რეგისტრაციის თვისა და რიცხვისა. 2018 წლის 11 თვის მონაცემებით ტექნიკური ინსპექტირება დაახლოებით 130000 ავტომობილმა გაიარა, აქედან 40000 ავტომობილი უვარგისადაა მიჩნეული. დახარვეზებული ავტომობილების დაახლოებით 30 პროცენტი განმეორებით ინსპექტირებაზე არ მისულა. ეს ავტომობილები რეგულაციის მიღებამდე საქართველოში გადაადგილდებოდნენ და

1  $O_3$ - მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები – ავტოსატრანსპორტო საშუალებით ბუქსირებადი; 3,5 ტონიდან 10 ტონამდე.

2  $O_4$  – მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები – ავტოსატრანსპორტო საშუალებით ბუქსირებადი; 10 ტონაზე ზემოთ.

საფრთხეს წარმოადგენდნენ როგორც საგზაო უსაფრთხოებისთვის, ასევე უარყოფით ზეგავლენას ახდენდნენ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე მოყვანილია ჯარიმების სტატისტიკა, რაც აჩვენებს რეგულაციის სიცოცხლისუნარიანობას.

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია რეგულაციის მიღების შემდგომი პერიოდი და ინდიკატორები მაღალი ქულით შეფასდეს:

ინდიკატორი 8: ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (ეფექტი დადებითია და გაზომვადია);

ინდიკატორი 9: პასუხისმგებელი უწყების საქმიანობის შეფასება (დადებითი);

ინდიკატორი 10: ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება (დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის).